საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1064/01
04/02/2022

1064-01-2-202202041753

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას"

მის: ჭავჭავძის ქუჩა №34, მე-6 სართული

ელ-ფოსტა: official@gulf-ge.com

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 24 იანვრის №850 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მისაქციელის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია. კერძოდ, „არსებული საქმიანობის დახასიათების" თავში აღნიშნულია, რომ კომპანიის მიერ იგეგმება №72.03.26.374 საკადასტრო ერთეულზე განთავსებული 5 ცალი რეზერვუარის (8.498 მ^3, 9.553 მ^3, 8.543 მ^3, 8.498 მ^3 და 7.511 მ^3) გადატანა მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.03.26.465) და ასევე, ერთი ცალი რეზერვუარის დამატება. „დაგეგმილი საქმიანობის დახასიათების" თავში კი მითითებულია, რომ პროექტის განხორციელების შემდგომ, ავტოგასამართ სადგურზე იფუნქციონირებს 6 რეზერვუარი (16.3 მ^3, 16.3 მ^3, 16.3 მ^3, 16.3 მ^3, 15.7 მ^3 და 10.3 მ^3). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს არსებული (გადასატანი) და საპროექტო რეზერვუარების შესახებ მონაცემები;
- სკრინინგის განცხადებაში აღწერილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შემდგომი მართვის საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044